


ტელერადიო კომპანია
"ოდიში"
ზუგდიდი
ზ. გამსახურდიას გამზ. №19
ტელ: 599 94 91 94
(0-415) 22-28-88
odishi1989@gmail.com



TV-RADIO COMPANY
"ODISHI"
zugdidi
№ 19 Z. Gamsakhurdia st.
Tel: 599 94 91 94
(0-415) 22-28-88
odishi1989@gmail.com

N53

18 ოქტომბერი 2016 წელი

გადაწყვეტილება საქმეზე – მპ „ეროვნული ფორუმი“ ტელერადიო კომპანია „ოდიში“-ს წინააღმდეგ

გადაწყვეტილება #1

საქმეზე – მპ „ეროვნული ფორუმი“ ტელერადიო კომპანია „ოდიში“-ს წინააღმდეგ
საბჭოს თავმჯდომარე: დავით გრიგოლია
საბჭოს წევრები: ნანა ქობალია, ნათია შონია, შორენა დგებუაძე, გოჩა მინჯორაია.
განმცხადებელი: მპ „ეროვნული ფორუმი“
მოპასუხე: ნანა ქობალია

აღწერილობითი ნაწილი

შპს დამოუკიდებელ ტელერადიო კომპანია „ოდიში“ განცხადებით მომართა ეროვნული ფორუმის აღმასრულებელმა მდივნმა გოჩა ჯაბიძემ, რომელიც სადავოს ხდიდა შპს დამოუკიდებელ ტელერადიო კომპანია „ოდიშის“ ეთერში წინასაარჩევნო დებატების არადისკრიმინაციულად გაშუქებას.

განმცხადებლის არგუმენტაცია :

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადაწყვეტს, წინასაარჩევნო კომპანია საკუთარ ეთერში გააშუქოს, წინასაარჩევნო დებატები უნდა გადასცეს არადისკრიმინაციულად და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით, თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე წინასაარჩევნო კომპანიის დროს. მპ „ეროვნული ფორუმი“ წარმოადგენს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს, რომელიც საქართველოს საარჩევნო კოდექსის 113-ე მუხლის საფუძველზე მონაწილეობს საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებში და წინასაარჩევნო კომპანიას აწარმოებს მთელი საქართველოს მაშტაბით, მიუხედავად იმისა, ყავს თუ არა რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატი კონკრეტულ საარჩევნო ოლქში. შესაბამისად საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილი ავალდებულებს თქვენს ტელეკომპანიას, წინასაარჩევნო კომპანია გააშუქოს არადისკრიმინაციულად და წინასაარჩევნო დებატები გადასცეს ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით.“

ამასთან, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად წინასაარჩევნო აგიტაციასთან, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასა და ინფორმაციის გადაცემასთან ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა – გამოიწვევს ელექტრონული მედიის საშუალების დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით „

საბჭოს შეფასება

საბჭო ეთანხმება განმცხადებელს, რომ წინასაარჩევნო დებატები მაუწყებელმა უნდა გადასცეს არადისკრიმინაციულად და ყველა კვალიფიციური სუბიექტის მონაწილეობით, თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის დროს. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადაწყვეტს, წინასაარჩევნო კამპანია საკუთარ ეთერში გააშუქოს, წინასაარჩევნო დებატები უნდა გადასცეს არადისკრიმინაციულად და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით, თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის დროს.“ მაუწყებელს არ დაურღვევია კანონი. მაუწყებლის ეთერში მომზადდა ტელედებატები ზუგდიდის ქალაქისა და რაიონის მაჟორიტარ კანდიდატებთან, ასევე მუნიციპალიტეტის გამგებლობისა და ქალაქის საკრებულოს წევრობის კანდიდატებთან. გამომდინარე იქედან რომ მპგ „ეროვნულ ფორუმს „ არ ჰყავდა ზუგდიდში კანდიდატი არცერთ კატეგორიაში, ჩვენს დებატებში მონაწილეობა ვერ მიიღო აღნიშნულმა პარტიამ, რაც შეეხება ცალკე ეთერის დათმობას მაუწყებელს არ ჰქონია დებატები პოლიტიკური პარტიის ლიდერებთან ამიტომაც ვთვლით რომ დისკრიმინაციული იქნებოდა მხოლოდ ეროვნული ფორუმის ლიდერების მოწვევა ეთერში.

საბჭოს შეფასება და დასკვნა:

მაუწყებელს არ დაურღვევია საქართველოს საარჩევნო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილი, რადგან „ოდიშის“ ეთერში განთავსებული იყო მპგ ეროვნული ფორუმის როგორც ფასიანი, ასევე უფასო პოლიტიკური რეკლამა.

ამდენად მიგვაჩნია, რომ ტელეკომპანია ოდიშს არ დაურღვევია განცხადებაში არგუმენტად მოყვანილი საქართველოს საარჩევნო კოდექსის არცერთი მუხლი და ეროვნული ფორუმის ბრალდება უსაფუძვლოა.

შ.პ.ს დამოუკიდებელი ტელე-რადიოკომპანია

„ოდიშის“ გენ. დირექტორი:

დავით გრიგოლია

